Supported by

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

მსხვილფეხა ცხოველთა კვება

პროგრამის ტიპი: პროფესიული მომზადების ტრენინგი

ხანგრძლივობა: 60 საათი დამოუკიდებელი საათების გარეშე (80 საათი დამოუკიდებელი საათების ჩათვლით)

განხორციელების ადგილი - დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი

დაშვების წინაპირობა -სრული საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი - ტრენინგის მიზანია მოქმედი და მომავლი ფერმერებისთვის მსხვილფეხა ცხოველის კვების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამყარება. მსმენელები შეისწავლიან ცხოველთა ნორმირებულ კვებას სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით , საკვების დამზადებას, საკვების ხარისხის განსაზღვრას, უვნებელი საკვების მიკვლევადობის განსაზღვრას, არასრულფასოვანი კვებით გამოწვეულ დაავადებებს , საკვების დამაქუცმაცებელ მანქანა დანადგარებთან მუშაობას

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საოჯახო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები

პროგრამის განხორციელების მეთოდი: ჰიბრიდული: თეორიული და პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, დისტანციური სწავლება ვიდეო-გაკვეთილების საშუალებით

კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები:

1. საკვების მომზადება- დასაწყობება

2. საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნის დადგენა

3. საკვების დანახარჯების გაანგარიშება

4. მსხვილფეხა ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა

შეფასების ინსტრუმენტები: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, წერილობითი გამოცდა

სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში: 12-15 სტუდენტი

ტრენინგის ხელმძღვანელი: თორნიკე ათაბეგაშვილი

ტრენერები: ბექა გიორგობიანი, ნატო ფერაძე, მამუკა ბენაშვილი, დიმიტრი ოდიშვილი, ნიკა ჯაფიაშვილი

სწავლის შედეგი	**უნარები / კომპეტენციები**	**სწავლების მეთოდი**	**პრაქტიკა / თეორია**	**სასწავლო გარემო**	**შეფასების ინსტრუმენტი**	**ხანგრძლივობა**
საკვების მომზადება-დასაწყობება	დასილოსება, დასენაჟება, მშრალად შენახვა, დაპრესვა, გაყინვა, ქიმიურად დამუშავება; მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საკვები, მინერალური, კომბინირებული, კონცენტრირებული საკვები, საძოვრული კვება	ლექცია პრაქტიკა	თეორია /პრაქტიკა	ფერმა/ აუდიტორია / ონლაინ პორტალი	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით / წერილობითი გამოცდა	**8**
საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნის დადგენა	მსხვილფეხა ცხოველის მოთხოვნილების განსაზღვრა წყალზე და სხვა საზრდო ნივთიერებებზე; არსებული ნორმატივების და ცხოველთა სახეობის გათვალისწინებით	ლექცია პრაქტიკა	თეორია/პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	4

	დღიური ულუფის განსაზღვრა; თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ჰიგიენური წესების დაცვით, ჰუმანური მოპყრობით ცხოველის სრულფასოვანი კვება; ძროხის საჭმლის მომნელებელი სისტემა და არასწორი კვებით გამოწვეული დაავადებები					
საკვების დანახარჯების გაანგარიშება	ხარისხიანი საკვები და მისი მნიშვნელობა; ცხოველთა კვება სახეების მიხედვით; კვების რეჟიმის დარღვევის მიზეზები და მისი თავიდან აცილების გზები; საკვების დანახარჯების შეფასება.	ლექცია პრაქტიკა	თეორია/პრაქტიკა	ფერმა / აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	28
მსხვილფეხა ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა	ცხოველთა სახეობის, სქესის, ასაკის, პროდუქტიულობის და ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით საკვებ ნივთიერებებზე მოთხოვნილების განსაზღვრა; ულუფისთვის ოპტიმალურ საკვები ნივთიერებების გამოყენება; სხვადასხვა საკვების კვებითი ღირებულების შეფასება;	ლექცია /პრაქტიკა	თეორია /პრაქტიკა	ფერმა/ აუდიტორია	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით / წერილობითი გამოცდა	20

	ულუფის სტრუქტურის განსაზღვრა; ცხოველთა სახეობის, სქესის, ასაკის, პროდუქტიულობის და ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით ულუფის სწორად შედგენა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება.					

სასწავლო მასალები - პირუტყვის სწორად კვება; საკვების შენახვა, ამოღება და დამუშავება; საკვების საჭიროების გამოთვლა; ცხოველის საჭიროებაზე დაფუძნებული საკვები რაციონის შედგენა; არსებული საკვები მარაგების შეფასება და შევსება; საწარმოს ხელთ არსებული საკვებით მერძეული საქონლის რაციონის შედგენა

ტრენერის კომპეტენციები - ტრენინგის ხელმძღვანელს უნდა უდასტურდებოდეს ფერმერობის, ვეტერინარიის ან მეცხოველეობის მიმართულებით პროფესიული ან უმაღლესი განათლება, ან მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობის ფერმაში. დამატებით, ტრენინგის ხელმძღვანელს გავლილი უნდა ქონდეს ტრენინგი შვეიცარიული დუალური სწავლების მეთოდოლოგიაში. დამხმარე ტრენერს უნდა უდასტურდებოდეს შესაბამის სფეროში ორწლიანი სამუშაო გამოცდილება ან პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

სასწავლო გარემო: ფერმა, აუდიტორია, ონლაინ პორტალი

თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილებისთვის:

- საკლასო ოთახი (სასწავლო აუდიტორიაში და ფერმის აუდიტორიაში)შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი,პროექტორი, პრინტერი, დაფები, მარკერები)
- მსხვილფეხა საქონლის ფერმა, შესაბამისი საქონლითა და აღჭურვილობით
- საძოვარი, შესაბამისი აღჭურვილობით
- მასალა-ნედლეული (თივა, კომბინირებული საკვები, მინერალები, მარილი)
- პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა (ხალათი, ბახილი, ქუდი, ერთჯერადი ხელთათმანები)
- ნიჩაბი
- ფიწალი
- საკვებდამრიგებელი, ბალახის დამრიგებელი
- ხბოსთვის რძის გამათბობელი
- ხბოს საწოვარა ბოთლი
- ხბოს საწოვარა ვედრო

სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტები

სტუდენტების შეფასება მოხდება პრაქტიკული და თეორიული გამოცდის საფუძველზე
პრაქტიკული გამოცდის დროს მსმენელი ასრულებს კონკრეტულ დავალებას, რომელიც დაკავშირებულია ფერმაში ყოველდღიურად განსახორციელებელ სამუშაოებთან. პრაქტიკული დავალება შესაძლოა შეფასდეს როგორც შესრულების პროცესში (დაკვირვებით) ასევე შეფასდეს მხოლოდ შესრულებული სამუშაო (დავალების პროდუქტი). გამომდელი აკვირდება და/ან აფასებს შესრულებულ სამუშაოს ჩეკლისტის საფუძველზე, მაქსიმალური ქულით - 6.
თეორიული გამოცდა მოიცავს წერილობით / ან ზეპირ გამოცდას, რომლის მაქსიმალური ქულაა - 6
გამოცდებზე შეფასება ხდება 0.25-იანი ბიჯებით.
საბოლოო შეფასება = 0.6X პრაქტიკული გამოცდის შედეგი + 0.4X თეორიული გამოცდის შედეგი

გამოცდა ჩაითვლება წარმატებულად, თუ მსმენელი მიიღებს 4-ზე მაღალ შეფასებას
გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. პირველი განმეორებითი გამოცდა უფასოა. მეორე განმეორებითი გამოცდის საფასურია 200 ლარი. მეორე გამოცდაზე ჩაჭრის შემდგომ, მსმენელს უფლება აქვს, თავიდან დარეგისტრირდეს
პროგრამაზე, გადაიხადოს საფასური და გაიაროს კურსი სრულად